რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია.
პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი, 15 მარტი 1918 წ.

# ჩვენი ბრძოლა

ყოველდღიური გაზეთი.

№ 7

ფასი 15 კ.

გაზეთი გამოდის ყოველდღე. ფული, კორესპონდენციები და სხვა ყოველგვარი წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Кутаисъ, Воронцовская ул., „Лампари“—Михаилу Медзмаріашвили для газ. „Чвени Брдзола“. განცხადებები დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკნელ გვერდზე და სტრიქონი პეტიტის ღირს 20 კაპეიკი.

ცალკე ნომერი ყველგან 15 კაპ.

ორგანო დასავლეთ ამიერ-კავკასიის ორგანიზაციების რუსეთის სოც.-დემ. მუშათა პარტიის (ბოლშევიკების).

# ამხანაგებო მუშებო და გლეხებო!

10 თებერვალს თფილისის ალექსანდრეს ბაღში ტყვიის მფრქვეველებით და თოფის ზალპებით მუშათა მიტინგი დაცხრილეს. 13 მუშის გვამი ცივ სამარეს მიაბარეს, ოც და ათი მუშის, ქალის და ბავშვის სისხლი ბაღის მოედანმა შეიწოვა. „სამწუხარო ამბების“ გამოსაძიებლათ თითქო კომისიაც დანიშნა მთავრობამ, მაგრამ ხუთი კვირა გადის ამ ავაზაკურ გამოსვლის შემდეგ, და ჯერ კიდევ კრინტსაც არ სძრავს კომისია—რა გამოიძია და ვინ უნდა დაიდაღოს ავაზაკის დაღით. ოჯახურად, ჩუმათ სურთ დავიწყებას მისცენ ეს, ისტორიაში უმაგალითო ავაზაკობა. მოითხოვეთ დაუყოვნებლათ გამოძიების გამოქვეყნება და სისხლის ღვრის მომწყობების რევოლიუციონურ სასამართლოში მიცემა!

## ბრძოლა საბჭოების ძალა უფლებისათვის.

მას მერე, რაც გერმანიის იმპერიალისტებმა ომი გამოუცხადეს საბჭოების რუსეთს, მას მერე, რაც რუსეთის იმპერიალისტები შეუერთდენ მათ, საბჭოების ძალა-უფლების დასამარცხებლად და, როცა აშკარა შეიქნა, რომ რუსეთის კონტრ-რევოლიუციონერები მოუთმენლათ ელიან გერმანელების მოსვლას, საფიქრებელი იყო, რომ ყველა ნამდვილი რევოლიუციონური მხარს დაუჭერდა და დაიცავდა საბჭოების ძალა-უფლებას, გამოექომაგებოდა საბჭოების ორგანიზაციებს და სცნობდა, რომ რუსეთი საბჭოების რესპუბლიკაა; რომ სწორედ ამ რესპუბლიკას ეცემიან იმპერიალისტები. მაგრამ ასე არ მოხდა. გერმანელი იუნკრების და შეტევითი რაზმების შემოსევას თან მოჰყვა მემარჯვენე სოციალისტურ პარტიების (მენშევიკები და ეს-ერები) მხრივ უფრო ძლიერი იერიშის მიტანა საბჭოების ძალა-უფლებაზე, მათ უნდოდათ გამოეყენებიათ კრიტიკული მდგომარეობა საბჭოებთან ბრძოლისთვის. ყოველნაირად ცდილობდენ ჩამოეგდოთ საბჭოების მთავრობა, რითაც ნებსით თუ უნებლიეთ ყოველგვარად ხელს უწყობდენ ევროპის კონტრ-რევოლიუციის გამარჯვებას. მათ არ სურთ გაიგონ, რომ გერმანიის იმპერიალისტები გაურბიან საბჭოების რუსეთთან ზავს, უერთდებიან რუსეთის კონტრ-რევოლიუციონერებს ოქტომბრის მუშა გლეხთა რევოლიუციის დასათრგუნავად. რაც უნდა მძიმე და აუტანელი იყოს ზავის პირობები რუსეთისათვის, მთელი ქვეყნის სოციალისტურ რევოლიუციისათვის ეს ზავი მაინც ხელ საყრელია, იმავე დროს მავნებელია ევროპის იმპერიალიზმისთვის. სოციალიზმის და მუშათა კლასის მტრები ნათლად ხედავენ, რომ რუსეთის სოციალისტური ელფერით გადაკრული რევოლიუცია მიმზიდველია ევროპის პროლეტარიატისთვის; მათ ესმით, რომ რუსეთის რევოლიუცია დროშა იქნება ევროპის ნაწამებ მუშათა მასისათვის; ისინი არ სცდებიან, რომ დასვენებს შემდეგ, ფეხმომაგრებული საბჭოების რუსეთი განაგრძობს ბრძოლას სოციალიზმისა და რევოლიუციისათვის; რევოლიუციონური რუსეთის ჭრილობების განკურნების შემდეგ ათასჯერ უფრო საშიში შეიქნება იმპერიალისტური ევროპისათვის.

სავსებით სიმართლეა ამხ. ლენინის სიტყვები: ჩვენ იძულებულნი ვართ გადავიტანოთ ზავის უმძიმესი პირობები; ეს ზავი არ შეაჩერებს რევოლიუციას გერმანიასა და ევროპაში; ჩვენ შევუდგებით რევოლიუც. არმიის მზადებას არა ფრაზებით და წამოძახილებით, არამედ ორგანიზაციონური მუშაობით, საქმიანობით; ჩვენ შევქმნით სერიოზულ ხალხოსნურ და ძლიერ არმიას.

სახალხო კომისართა საბჭოს პოლიტიკა ნაკარნახევია ევროპის თანამედროვე მდგომარეობის საბუთიანად ცოდნით და მომავალის გათვალისწინებით.

მაგრამ რაკი რუსეთის რევოლიუცია იძულებულია თავი დაიცვას რუსეთის და გერმანიის გაერთიანებულ კონტრ-რევოლიუციის შეტევისაგან, მხოლოდ სახალხო კომისართა საბჭოს, მხოლოდ საბჭოთა ორგანიზაციებს ძალუძთ აღაფრთოვანონ მშრომელთა მასსა.

მენშევიკების და მემარჯვენე ეს-ერების ახლანდელი ბრძოლა სახალხო კომისართა საბჭოს წინაამდეგ, არსებითად დახმარება, ევროპის კონტრ-რევოლიუციისა, მონაწილეობა იმ შეთქმულებაში, რომელიც მოაწყვეს ევროპის იმპერიალისტებმა რუსეთის პროლეტარიატის წინაამდეგ.

მემარჯვენე ეს-ერები გაიძახიან, რომ რევოლიუციის გამარჯვებისათვის საჭიროა ძლიერი მთავრობა, და ასეთ მთავრობას კი სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრება მოგვცემს. ეს ან გაუგებრობა, ან სრული სიბეცეა დოქტრინიორობით მოწამლულისა. რუსეთის რევოლიუციამ პირდაპირ დააყენა საკითხი: ან საბჭოები, ან მომრიგებელი დამფუძნებელი კრება და თითოეული პარტია ვალდებულია ნათელი და გადაჭრილი პასუხი გასცეს ამ კითხვაზე: საბჭოების თუ დამფუძნებელი კრების მხარეზეა? ამ ორ დაწესებულებას ორი სხვა და სხვა ორგანიზაცია აქვთ, ორი პოლიტიკა, ორი ხაზი მოქმედებისა—პოლიტიკა სოციალისტური კლასიური, და პოლიტიკა ბურჟუაზიული.

ვინც სოციალისტური და კლასიური პოლიტიკის მსურველია, მხარი უნდა დაუჭიროს საბჭოებს, სახალხო კომისართა პოლიტიკას. ვინც კი ბურჟუაზიულ პოლიტიკის მიმდევარია, ის უნდა მიეკედლოს დამფუძნებელ კრებას და საბჭოების წინაამდეგ გამოვიდეს. შუათანა გზა აქ შეუძლებელია. ამიტომ პირმოთნეობით აღსავსეა მემარჯვენე ეს-ერების ლოზუნგი: „გაუმარჯოს დამფუძნ. კრებას! გაუმარჯოს საბჭოებს“. ეს ორი ლოზუნგი ერთი მეორის უარმყოფელია.

ახლანდელ პირობებში დამფუძნებელ კრების მოთხოვნა ნიშნავს ლახვარის ჩაცემას რევოლიუციის გულში და მუშებ-გლეხთა მონაპოვართა გაქარწყლებას. რევოლიუციონური რუსეთის დაცვა ევროპის იმპერიალიზმის შემოსევისაგან შეიძლება არა დამფუძნებელ კრებით სადაც მუშებთან და უღარიბეს გლეხებთან ერთად მოიკალათებენ სწორედ იმ კლასების წარმომადგენელნი, რომლებმაც მოიხმეს დასახმარებლათ გერმანელთა ურდოები. ასეთ საბედისწერო დროს მხოლოდ საბჭოებს, ძალა-უფლებიან საბჭოებს ძალუძთ მშრომელთა მასსაში ენტუზიაზმის გაღვივება, მილიონ მუშების და გლეხების ამოძრავება სოციალიზმის და რევოლიუციის დასაცავად.

## როგორ ეწყობა ლეჩხუმის რევოლიუციონური მაზრა.

მას შემდეგ, რაც ხალხმა მაზრაში ყოველგვარ უწესოებისათვის გადააყენა ამხ. რაზმაძე. პლ. ახვლედიანი და მილიციის უფროსი—გოგეთიანი—ლეჩხუმის მაზრა კანონ გარეშე გამოაცხადეს და ფაქტიურათ მოსწყვიტეს ქუთაისის გუბერნიას. უპატრონოთ დარჩენილი ლეჩხუმის მაზრა იძულებული გახდა, რომ თავისთავს დაპატრონებოდა და ასეც მოხდა. დღეს ყველა საზოგადოებებში ხდება გლეხთა საბჭოების არჩევნები და მთელი ძალა უფლება მათ ხელში გადადის. ლეჩხუმის ახალ მოძრაობას სათავეში უდგანან ჩვენი ამხანაგები. დღიდან მოძრაობის დაწყებისა სამაზრო კომისარიატის შემადგენლობა გაქცეულა რამოდენიმე ათასამდე (30 ათასი) ხალხის ფულები წაუღიათ თან—კასა დაკეტილი დაუტოვებიათ და სხვა. კანონიერი სამაზრო გლეხთა საბჭო მოუწოდებს ყოველ ხალხს, მაგრამ ჯერ არსად ჩანან. არამარათ დატოვებულ მაზრის ქონებას ხალხი განსაკუთრებით იცავს. მთელს მაზრაში საუცხოვო რევოლიუციონური დისციპლინაა გამეფებული. გამოაქვთ მიტინგებზე დადგენილებები—რუსეთთან შეერთების აუცილებელ საჭიროებაზე და ამიერ-კავკასიის კომისარიატის წინაამდეგ, რასაც მოუწოდებენ მთელ ამ.-კავკასიის მშრომელ ხალხს. არსდება საბჭოებთან მებრძოლი კომიტეტები, რომლის განკარგულებაში გადადიან საზოგადოებაში მყოფი ცოცხალი ძალები. როგორც გავიგეთ ასე ამგვარათ ირაზმება სვანეთი და რაჭაც. რომლებმაც ლეჩხუმის მშრომელ ხალხს აღუთქვა ყოველგვარი დახმარება. შეხვდებით ალაგ-ალაგ პოსტებს, გამვლელებს სთხოვენ „პროპუსკებს“—ხალხს მეტისმეტ ზრდილობიანათ ეპყრობიან. ხონიდან დაწყებული ქუთაისის მაზრამდე დიდი აღფრთოვანებით გვეგებებოდა ხალხი.

ერთი მეორეს ეუბნებოდენ, აი ხომ ხედავთ მთლათ მოძულებული არ ვყოფილვართ—სხვადასხვა მაზრების მშრომელი ხალხის წარმომადგენელნი მოდიან და დახმარებას აღგვითქვამენო. მე, როდესაც გურული მშრომელი ხალხის სახელით დავიწყებდი ლაპარაკს, ყოველთვის შეეკითხებოდნენ იმ გურულების შესახებ, რომლებიც ქუთაისიდან დამსჯელ გვარდიელებში ერიათ და გაგზავნილი იყვნენ რევოლიუციის ჩასაქრობათ ლეჩხუმში. (რა აკვირვებელია მე ვლაპარაკობდი 2210 კაცის სახელით რომლებიც ჩვენ ორგანიზაციებში შედიან გურიაში) მე უხსნიდი, რომ ისინი შეცდომით იყვნენ გამოგზავნილი და, სხვათა შორის, აღსანიშნავია ის, რომ, როდესაც გვარდიელები ალყა შემორტყმული იყვნენ და შეეძლოთ სუყველასათვის აერთმიათ, როგორც თოფები ისე პულემიოტები და ჯავშნიანი ორი ავტომობილი—ლეჩხუმის რევოლიუციონერებმა ეს არ კადრეს (ყველა ერთდაიგივეს გვიმტკიცებდა), რომ ჩვენ არ ვკადრეთ იარაღის აყრა გურულებსთ მას შემდეგ, როდესაც, გურულებმა დაგვიმტკიცა, რომ იგენი შეცდომით (იყვნენ წამოსულნიო), აღსანიშნავია ასეთი ფაქტი. სხვათა შორის აღსანიშნავია ის, რომ აღპანის საზოგადოების საბჭომ (უაიმაშის რაიონი) გადასდგა პირველი პრაქტიკული ნაბიჯი ცხოვრებაში.

საბჭომ გამოჰყო თავის შემადგენლობიდან რევოლიუციონური ტრიბუნალი, სამილიციო, სანიტარული და სხვა კომისიები საბჭოს წევრები უსასყიდლოთ ემსახურებიან საზოგადოებას. ამ დღეებში ტრიბუნალს გაუსამართლებია ცოტაოდენი სიმინდის ქურდი, რომლისათვის მიუსჯიათ 5 დღით საზოგადო გზაზე მუშაობა. ერთი სიტყვით, მთელი ლეჩხუმის მაზრა წარმოადგენს ახლა იმ კუთხეს ქუთაისის გუბერნიაში, სადაც თვით ხალხი პატრონობს თავის ბედ-იღბალს. აღსანიშნავია ხალხის საყვედური ქუთათურ გვარდიელების მოქმედებაზე. მედუქნეები: ნიკო ხუციძე, სარდიონ ფრუიძე, ანტონ ხუციძე, კოწია ფრუიძე, ოქროპირ ალავიძე, ბათლომე ფრუიძე, ნესტორ ფრუიძე, გიორგი ფრუიძე, საბა ფრუიძე, ძალზე აღშფოთებულნი არიან იმ მოქმედებით, რომ გვარდიელებმა იხარჯეს დუქნებში და წასვლის დროს ფული არ დაგვიტოვენო. საერთო ჯამი აღის 1500 მანეთამდე

იმედია ასეთ მოვლენას დაუყოვნებლივ მიაქცევენ ყურადღებას და, ისედაც შეურაცყოფილ ხალხს. გაუსწორებენ ანგარიშებს. ქუთაისის მაზრაში ოფიჩხეთის საზოგადოებამ, გაიგო თუ არა ასეთი მდგომარეობა ლეჩხუმლებისა, მათ მხარი დაუჭირა—სწრაფათ აირჩია გლეხთა საბჭო და შეუერთთა თავის ხმა ლეჩხუმის ახალ მოძრაობას. იმედები ბევრია, რომ ლეჩხუმში დაწყებული მუშური რევოლიუცია იპოვის გამოძახილს და არ მისცემს საშვალებას სხვა და სხვა ჯურის პოლიტიკურ სპეკულიანტებს ეს ნამდვილი ხალხური მოძრაობა ბოროტათ გამოიყენონ.

ამოიღეთ ხმა! დაეხმარეთ ლეჩხუმლებს!

ამხ. ურუშაძე.

## ლეჩხუმლების მოწოდება

**ყველა სოფლის და ქალაქის მუშებს, ყველა მოქალაქეებს*).**

ლეჩხუმის რევოლიუციონური მოძრაობა წმინდა მუშური, გლეხური მოძრაობაა. ის საერთაშორისო ხასიათისაა და მას ხელმძღვანელობს არა ერთი რომელიმე ჯგუფი, არამედ მთელი ლეჩხუმის მაზრის დემოკრატია. ვისაც უყვარს ხალხი და საზოგადოება, ვისთვისაც უძვირფასესს განძს შეადგენს ძმობა, ერთობა და თავისუფლება, მან ლეჩხუმის მაზრაში დაწყებული ხალხური მოძრაობას მხარი უნდა დაუჭიროს და საერთო გზით, საერთო ძალით უნ და განავითაროს ის, და, ამრიგათ, აბობოქრებული ტალღა მოძრაობისა, როგორც ლეჩხუმში, ისე სხვა მაზრებშიც უნდა გადავიდეს! ამიერ-კავკასიის მთავრობამ ომი გამოუცხადა ლეჩხუმის რევოლიუციონურ ხალხს და მთელი რაზმი მუშებისა მავრაზმულათ მონათლა ერთის მხრივ, ხოლო, მეორე მხრივ, კი მოძრაობას ფეოდალური მოძრაობა უწოდა და თვით ლეჩხუმის მაზრა კანონის გარეშე გამოაცხადა, დღეიდან რევოლიუციონური მუშა—ხალხი ლეჩხუმისა არ სცნობს ისეთ მთავრობას, რომელმაც, ერთის მხრივ, რუსეთს გამოჰყო ამიერ-კავკასია თვით ქართველ დემოკრატიის დაუკითხავათ, და, რომელიც სომხის შოვინისტებთან და თათრის ბეგებ-აღალარებთან ერთათ სეიმს ამშვენებს, ხოლო, მეორე მხრივ კი, მუშათა მოძრაობას უარყოფს და მის საწინააღმდეგოთ კონტრ-რევოლიუციონურ აგიტაციას ეწევა. ყველა ქალაქის, მაზრის და სოფლის მუშებო! მოგიწოდებთ ჩვენთან ერთად დადგეთ იმ დროშის ქვეშ, რომელზედაც ცეცხლის ასოებით აწერია: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“

გაუმარჯოს რევოლიუციონურ რუსეთს!

დიდება და პატივი სოციალისტურ მოძრაობას!

ლეჩხუმის რევოლიუციონური მაზრა რევოლიუციონურ რუსეთთან ერთად ხელიხელ ჩაკიდებული გაჰყვება იმ გზას, რომელიც მას მიიყვანს სოციალიზმამდე!

საქართველოს ყველა სოფლის მუშებო, ყველა მოქალაქენო! ლეჩხუმი სულ განაბული ელის თქვენს გამოძახილს და მოგიწოდებს დაუჭიროთ მას მხარი.

გაუმარჯოს ხალხის თავისუფლებას!

გაუმარჯოს რევოლიუციონურ მუშათა რაზმს!

**ლეჩხუმის სოფლის მუ ათა საბჭოები.**

*) ეს მოწოდება გარჩეულ იქნა და მიღებული გასავრცელებლათ ლეჩხუმის საზოგადოების სამ დიდ მიტინგზე და გლეხთა საბჭოს კრებაზე.

## საოლქო კომიტეტის მოწოდება.

**რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია.**

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

### ამხანაგებო! მუშებო, გლეხებო და ჯარისკაცებო!

ევროპის და ამერიკის მტაცებლებს განზრახვა ჰქონდათ დედამიწა გადაეყოთ; ოქტომბრის მუშათა და გლეხთა რევოლიუციამ მათი ფარული ხელშეკრულებების და სხვა პირობების გამოქვეყნებით დაფუშა მტაცებლების განზრახვები და სოციალისტური რევოლიუციის ალი მოედო ქვეყნიერებას.

მთელს ევროპაში, ამერიკაში და აზია აფრიკაშიაც კი წელში იმართებიან და თავიანთ იმპერიალისტურ და სისხლის მსმელ მთავრობაზე იერიშით მიდიან ხალხები, რომლებსაც მუსრს ავლებდა ომი სამი წლის განმავლობაში.

საერთაშორისო ომი, კლასებშორის ომათ ხდება. რუსეთის მუშათა კლასის უძლეველ რევოლიუციონურ ენერგიის და პროლეტარული აღტყინების შემწეობით მთელი რუსეთის სივრცეზე მტკიცე და შეურყეველი საფუძველი ეყრება საერთაშორისო მუშურ რევოლიუციას.

უკანასკნელ და გადამწყვეტ შეტაკებაში შრომასა და კაპიტალს შუა, მთელი ქვეყნის პროლეტარიატი რუსეთში ჰპოვებს ძალას და ენერგიას.

რევოლიუციონური რუსეთი მუშა-გლეხთა დიქტატურის მატარებელი ბურჟუაზია-იმპერიალიზმისთვის საფრთხეთ გადიქცა.

გამარჯვებული და უძლეველი მუშა-გლეხების რევოლიუცია რუსეთისა უკვე კარს მიადგა და აწვება ომიანობით გაპოფიტულ, მოქანცულ და სისხლისგან დაწრეტილ ევროპის სახელმწიფოებს.

როგორც კი სოციალიზმის დიდებულ მოძღვრებამ სძლია რუსეთში პირმოთნეობით აღსავსე და გარეგნულათ ბრჭყვიალა დემოკრატიზმით შეზავებულ კაპიტალიზმს (საფრანგეთში, შვეიცარიაში, ინგლისში და ამერიკაში რომ არის გაბატონებული), ევროპის განათლებულ ავაზაკებმა უმთავრეს საგნათ და უახლობელეს მიზნათ დაისახეს რუსეთის დიდი პროლეტარული რევოლიუციის ჩახრჩობა.

რევოლიუციონურ რუსეთმა აღიარა ლოზუნგი დემოკრატიული ზავისა უანექსიოთ, უკონტრიბუციოთ, ხალხთა თვითგამორკვევის საფუძველზე და ორჯერ განუცხადა ყველა ომში ჩაბმულ ხალხებს, რომ ის არავის არ ეხებება და მზათაა ყოველ წუთში ზავი შეკრას ამ პირობებით.

ევროპის პროლეტარიატისათვის რომ დაენახვებია, თუ რა მძარცველი და მტაცებლური ბუნების პატრონია გერმანიის იმპერიალიზმი, სახალხო კომისართა საბჭომ საშვიდობო მოლაპარაკება გამართა გერმანიის მთავრობასთან ქ. ბრესტში; იქ გაისმა ძმური ძახილი რუსეთის პროლეტარიატისა, როგორც ავსტრო გერმანიის, ისე სხვა მეომარ ერების პროლეტარებისადმი—ბოლო მოუღოთ ურთიერთმანეთის ულვთო გაჟლეტას, შევუდგეთ ახალი, სოციალისტური წეს-წყობილების რევოლიუციონურ აგებას. და ამ ძახილმა მთელი ქვეყნის ყურადღება მიიქცია.

საპასუხოთ ამისა იფეთქა რევოლიუციონურ მოძრაობამ ავსტრიისა და გერმანიის სამრეწველო ქალაქებში.

ეს-ეს იყო ბრესტი გერმანიის იმპერიალიზმის საფლავად უნდა გადაქცეულიყო... მაგრამ ვილჰელმმა, მთელი ევროპის ბანკირებ—კაპიტალისტების ნების აღმასრულებელმა, მოაწყო გერმანელი, უკრაინელი, პოლონელი და ზოგ რუს კონტრ რევოლიუციონურ აფიცერ იუნკრებისგან შეტევითი ბატალიონები და მიუსია სოციალისტურ რუსეთს მუშა-გლეხთა საბჭოების ძალა-უფლების და პროლეტარული რევოლიუციის გასანადგურებლად.

იძულებით, ძალადობით იქნა ხელმოწერილი საზავო პირობები გერმანელ მტაცებლების, მარა ვერც ამ იძულებით თანხმობამ შეაჩერა მათი თავდასხმა რუსეთის რევოლიუციაზე.

ამხანაგებო, მუშებო. გლეხებო და ჯარისკაცებო! ჟანდარმ ვილჰელმის ხელმა მახვილი მოუქნია თქვენს, მუშა-გლეხების, მთავრობას.

ზურგს უკან კი, მახვილს გიმზადებსთ კონტრ-რევოლიუციონური ბურჟუაზია და მისი მოკავშირეები: მენშევიკები და მემარჯვენე ესერები, შიგნიდან და გარედან ხალხის მტრები თქვენს ჩაქოლვას ლამობენ; უნდათ წაგართვან, რაც კი საბჭოების ძალა-უფლებას თქვენთვის მიუნიჭებია; მათ სურთ ისევ მემამულეებს, ბეგებს, თავადებს, ბარონებს და გრაფებს დაუბრუნონ თქვენი მიწა; მოწადინებულნი არიან გლეხებს უწინდებურათ პომეშჩიკების უღელი და-

ალეან; ჯარისკაცები გენერლების სახლი ბატონობის ქვეშ დააყენონ, გლეხები ისევ კაპიტალისტების მონობაში ჩააგდონ. მათ სწადიათ ვაანადგურონ და უკვალოდ აღმოფხვრან რუსეთის რევოლიუცია და მით ჩააქრონ სოციალისტური რევოლიუციის ალი, რომელიც აქა-იქ უკვე ედება მთელ ევროპას. ადვილი გამარჯვებებით, რუსეთის დიდ ქალაქების და კავებით, ისინი ფიქრობენ თავის ქვეყნის პროლეტარიატი და ჯარისკაცები შეაშინონ, ვითომ და ურიცხვი და უძლეველი ჯარები ჰყავდეთ თავის განკარგულებაში, მაგრამ გერმანელ ჯარისკაცში იღვიძებს გერმანელი მუშა!

ალსდეგით ამხანაგებო კავკასიის მუშებო, გლეხებო და ჯარისკაცებო და რუსეთის პროლეტარიატ-გლეხობასთან ხელჩაკიდებული მედგრათ და უშიშრათ შეებრძოლეთ ევროპიდან ძომავალ კონტრ-რევოლიუციას, რომელსაც მეთაურობენ გერმანიის მეფე, პრინცები და საბრალო რომანოვების გვარეულობის ნათესავობა. დაეხმარეთ გერმანიის პროლეტარიატს სისხლის მსმელ ვილჰელმის ტახტის, ამ იმპერიალიზმის ციხე სიმაგრის, დანგრევაში.

საერთაშორისო იმპერიალიზმის კონტრ რევოლიუციონური ჯარები თავს ესხმიან მუშა-გლეხთა რევოლიუციას და მათ საბჭოებს ორი მხრიდან: დასავლეთიდან და სამხრეთიდან.

მტრის ძალები ქ. პსკოვს უახლოვდებიან, რევოლიუციონური პეტროგრადი მეომართა ბანაკს დაემგვანა. აუწერელია მუშების და ჯარისკაცების აღფრთოვანება, ისინი მზათ არიან გაიმარჯვონ, ან მსხვერპლათ შეეწირონ სოციალიზმისა საბჭოთა ძალა უფლებისა და დიდებულ რევოლიუციის მონაპოვართა დასაცავ რევოლიუციონურ ბრძოლას,

წითელი სოციალისტური რაზმი, რომელსაც აწყობენ მთელს რუსეთში, დღითი დღე იზრდება, ძლიერ რევოლიუციონურ არმიათ იქცევა და მას შეეძლება დაიცვას და შეინახოს რევოლიუცია იმ დრომდე, სანამ ევროპის პროლეტარიატი, რომელმაც კლასსიური ბრძოლა დაიწყო, ხელს არ გამოუწოდებს.

სამხრეთიდან შეტევას იწყებს დესპოტიური ოსმალეთი, მას სიკვდილი მოაქვს საბჭოების ძალა უფლებისა და რევოლიუციისათვის კავკასიაში და სამხრეთ რუსეთში

დადგა გადაწყვეტის დრო!

უფრო ძლიერი მტერი გზაზე გვეღობება, როცა ჩვენ ვიწყებთ ბრძოლას საბჭოების ძალა-უფლებისათვის კავკასიაში.

ამხანაგებო მუშებო, გლეხებო და ჯარისკაცებო!

სავსებით შევიგნოთ ჩვენი რევოლიუციონური მოვალეობა და სინდისი, ყველამ მოვკიდოთ იარაღს ხელი!

ყველა რევოლიუციებში უდიდეს რევოლიუციის, საერთაშორისო პროლეტარულ რევოლიუციის ბედი სწყდება!

სიკვდილი ან გამარჯვება!

რუსეთის რევოლიუციის დაცვა და შველა-ეს იქნება დასაწყისი უმავალითო სოციალისტურ შეტაკებებისა მთელს ევროპაში, სოციალიზმის ბრწყინვალე გამარჯვება იქნება მათი შედეგი.

# დაჰკრავს ჟამი!

(მებრძოლ მუშას)

დაჰკრავს წამი!
იგრძნობ შვებას განაწამი!
ბრბომ არ იცის
ცეცხლის მკვეთი შენი ფიცის
მძლევი მცნება,
ის გზას გიკრავს გელობება.

ხელთ უპყრიათ შენ საკვეთად ხმალი, თოფი,
მაგრამ მებრძოლს ყით სწორობდეს მონად მყოფი?
გმირ მეზღვაურს არ ეშინის ტალღათ ქროლის—
მის, კლდე გულ-მკერდს ამოძრავებს ალი ბრძოლის.
ჩუ! კიდევაც.. ხმა მოისმის კვნესა-გლოვის,
ეს შენ დასცი წინამძღოლნი უკნურთ ხროვის...

და, ასრულდა!.. გაიხარე!
იგრძნობ შვებას განაწამი!
შენი სატრფო—აღთქმის მხარე
შორს არ არის. . დაჰკრავს წამი!

ჭიჭიკო.

თავი მოიყარეთ წითელ სოციალისტურ არმიის რაზმებში, მზათ იყავით საბრძოლველად და რევოლიუციის დასაცავად.

ნიღაბი აეხადათ საერთაშორისო მტაცებლებს, მათ თავხედურათ ომი გამოუცხადეს რევოლიუციონურ რუსეთს და ესწრაფვიან საბჭოების განადგურებას და რუსეთის დაყოფას. უნდა გავსრისოთ ისინი.

ყველა რევოლიუციონურ ფრონტისკენ!

ყველა ძალა-უფლებიან საბჭოების დროშის ქვეშ! მუშებ-გლეხების მთავრობის დროშის ქვეშ!

შეუპოვარი ბრძოლა შინაურ და გარეშე კონტრ-რევოლიუციას!

ძირს იმპერიალისტური ომი!

გაუმარჯოს საერთაშორისო პროლეტარიატის რევოლიუციას!

გაუმარჯოს წითელ სოციალისტურ არმიას!

კავკასიის საოლქო კომიტეტი რ. ს.-დ. მ. პ. (ბოლშევიკების).

# პრესის მიმოხილვა.

მკითხველო, ქვანიც კი ღაღადობენ შეუბრალებელ ცხოვრების ზეგავლენით. მოისმინეთ „ერთობის“ ღაღადი:

სეიმი, რომელიც საქვეყნოთა კენჭის ყრით არის არჩეული, სწორედ ის ორგანოა, რომელმაც მთელი დემოკრატია უნდა შეაერთოს. მაგრამ ზოგიერთი ამიერ კავკასიაში მცხოვრები ერი საკმაოთ გათვითცნობიერებული არ არის და ამიტომ სეიმშიც სუსტათ არის წარმოდგენილი მისი დემოკრატია. შესაძლებელია სულ ახლო მომავალში გამოვიდეს სეიმის ნაწილი დემოკრატიის წინააღმდეგ ან ყოველ შემთხვევაში სამოტაჟს მიმართოს. ამიტომ საჭიროა არსებობდეს მის გარეშეც რევოლიუციონური ძალა, რომელიც სეიმის დემოკრატიულ და რევოლიუციონურ ფრთას გაამაგრებს და ამით ხალხის ფართო მასისთვის სასარგებლო მოღვაწეობას უზრუნველყოფს. ასეთი ორგანოა მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა საოლქო ცენტრი.

სეიმი სრულ-უფლებიანი უზენაესი დაწესებულება—გაჰკიოდა აქამდი, „ერთობა“, ის უაღრესად დემოკრატიული პარლამენტია და გარეშე ორგანიზაციის კანტროლიც კი შეუფერებელია მისთვისო. ახლა თითონ დარწმუნებულა, რომ სეიმში ცხვრებთან ერთად მგლებსაც მოუკალათებიან და ახლო მომავალში კბილებს აამუშავებენო. და ამიტომ საჭიროა გარეშე რევოლიუციონური ძალა მათ ასალაგმავათ—ეს არის საბჭოთა ცენტრი ალბათ ამ ცენტრს შესაფერისი ძალა-უფლება უნდა ქონდეს, რომ ხალხის სასარგებლო მოღვაწეობა უზრუნველჰყოს და მაშინ ან ჩაერევა გარედმიდან სეიმის საქმეში, ან თითონ აიღებს ხელში ხალხის სასარგებლო საქმის გაკეთებას, თითონ გახდება უ[...]აესი ძალა-უფლების მატარებელი. ორივე შემთხვევაში სეიმის სრულ-უფლებიანობა ხუხულასავით ინგრევა. შემდეგ:

საბჭოთა ცენტრის მოღვაწეობის გაძლიერება მით უფრო საჭიროა, რომ სეიმის მიერ უკვე მიღებულ მიწის კანონის ცხოვრებაში გატარება დიდ შრომას და რევოლიუციონურ თავდადებას ითხოვს. შეიძლება, ეცდებიან იმ კანონის შეკვეცას ან შესწორებას, რომ დრო მოიგონ ოსმალეთის შემოსევის იმედით. მხოლოდ მუშათა და გლეხთა ორგანიზაციებს შეუძლიათ კრიზისში ჩაუდგენ სახლის ამკარა და ფარულ მტრებს და ხალხის სასარგებლოთ გამოცემულ კანონის გაყალბების ნებას არავის მისცენ.

კრიზში ჩადგომა ოსმალების მომლოდინე მემამულეების მიმართ ნიშნავს მათთან შებრძოლებას, ე. ი. ძალა-უფლების აღებას იმ კლასის მიერ, რომელსაც მხოლოდ შეუძლია კრიზში ჩადგომა. ჩავყვეთ გაზეთს ქვევით:

სამწუხაროთ უნდა აღვნიშნოთ, რომ სეიმის გახსნის შემდეგ მუშათა საბჭოების მოღვაწეობა თითქოს განელდა ალბათ ფიქრობენ, რომ სეიმი გააკეთებს ყველაფერს. ეს შეხედულება თავისთავათ სწორია, მაგრამ ავიწყდებათ იმ გარემოებას, რომ რევოლიუციონურ ხანაში მხოლოდ იმ კლასების ორგანიზაციებს შეუძლიათ ნამდვილი რევოლიუციონური მოქმედება, რომელნიც ყველაზე უფრო დაინტერესებული არიან ამაში. ასეთები კი მუშები და გლეხებია.

ამიტომ ყველა რევოლიუციონერი და დემოკრატი გალდებულია გააძლიეროს მუშაობა გლეხთა და მუშათა საბჭოებში, აღადგინოს ეს ორგანიზაციები იქ, სადაც დაშლილია და შეადგინონ იქ, სადაც სულ არ ყოფილა მოწყობილი. მხოლოდ მუშათა და გლეხთა ორგანიზაციები ძგანან უოველგვარ ნაციონალურ შუღლის და ქიშპობას გარეშე და მიტომ ღღევანდელ მომენტში მათი გაძლიერება ნიშნავს გაძლიერებას რევოლიუციის და თავდაცვის ორგანიზაციის.

როცა საფრანგეთის დიდი რევოლიუციის დროს წარმომადგენლობითი დაწესებულებები უძლურებას გამოიჩენდენ, საქმეში ერეოდენ იაკობინელთა კლუბები, სადაც მუდამ სდუღდა რევოლიუციონური მოღვაწეობა.

ჩვენმა საბჭოებმაც უნდა განაახლონ და გააძლიერონ დღეს ოდნავ მანელებული მოღვაწეობა.

ვაი, რომ მთელი წელიწადი სწორედ ამის წინააღმდეგ იბრძოდა როგორც „ერთობა“ ისე მთელი ობორონცული ბანაკი. გაანელეთ და გაყინეთ რევოლიუცია და ახლა ძველ თამასუქების გამოძებნას მიჰყვიათ ხელი, მარა მაინც ანს მერე ბანი ვერ გითქვამთ, საბჭოთა ძალა-უფლებაზე რომ მიდგება საქმე, ენა და მით უმეტეს, ხელი გლალატობთ. ჩვენ მაინც კმაყოფილი ვართ მით რომ იაკობინელის სახელს საგინებლათ აღარ ისსენიებთ. მენშევიკების იაკობინელთა როლში გამოსვლას მე კი ველარ მოვესწრები, თუმცა არც ისე დიდი ხნის კაცი ვარ.

# მათი პარლამენტი.

რუსეთში რევოლიუცია გაიმარჯვებს, როგორც მუშათა რევოლიუცია, ან სულ ვერ გაიმარჯვებს—სთქვა პარიზის საერთაშორისო მუშათა ყრილობაზე პლეხანოვმა (რომელიც მაშინ რევოლიუციონერი და სოციალისტი იყო). ასეც მოხდა. რუსეთში გაიმარჯვა რევოლიუციამ მუშათა კლასის ხელმძღვანელობით, გლეხთა და ჯარისკაცთა (იგივე მუშები და გლეხებია) აქტიური დახმარებით. სადღაც ვამიგონია, რომ ამიერ-კავკასიაშიც სწარმოებს რევოლიუციაო. მართალია ფოსტით მოუვიდათ აქ რევოლიუცია, მაგრამ მუშების და გლეხების სახელითაა მონათლული, მხოლოდ ისინი ენათესავებიან მას. ერთი წლის შემდეგ რევოლიუციის ნების აღმასრულებლად მოევლინა ამ. კავკასიას სეიმი. და აი თურმე მისი შემადგენლობა პროფესიის მიხედვით:

სეიმში შედის 19 ვექილი და იურისტი, 23 ჟურნალისტი, ლიტერატორი და პუბლიცისტი, 8 ექიმი, 14 პედაგოგი და სახალხო მასწავლებელი, 7 ინჟინერი, 2 ტეხნიკოსი, 3 აგრონომი, 1 მიწის-მზომელი, 5 სტუდენტი, 9 მუნიციპალური მოღვაწე, 1 კანტორის გამგე 1 ბუხჰალტერი, 1 სოფლის მეურნე, 3 ნასწავლი, 3 მუშა და ერთიც სამხედრო პირი.

„რევოლიუციის პარლამენტში“ მხოლოდ სამი მუშა და არც ერთი გლეხი!

მთელი ხროვა ადვოკატებისა, ინჟენერ ექიმებისა და მათ შორის სამი მუშა და არც კენტი მიწის მუშა! როგორიც რევოლიუცია, ისეთი კონვენტი.

ვინ სთქვა, ქართველებს სამინისტრო კაცები არ გააჩნიაო? რა ბრძანებაა, ყოველი ქუთაისელი მოქალაქე გამოდგება ამ მაღალ პოსტზე. აი მაგალითად ვ. წერეთელი „ჩვ. ქვეყანა“-ში, ათიოდ, პწკარით სწყვეტს საბოლოოდ საქართველოს აწმყო და მომავალ ისტორიას ოსმალები მოითხოვენ ჩვენგან ბათუმთან ერთად აჭარას და მესხეთს, თვინიერ რომლებისა საქართველოს არც პოლიტიკური და არც ეკონომიური განვითარება არ შეიძლებაო. „რა გზას უნდა დავადგეთ“? კითხვას იძლევა ვ. წერეთელი და შეუსვენებლათ უპასუხებს:

ქართველმა ხალხმა მთელი თავისი ძალების მობილიზაცია უნდა მოახდინოს, რომ ოსმალთა შემოსევა შეაჩეროს.

იმავე დროს ცხადია, არც დიპლომატიური მოლაპარაკება უნდა ჩაითვალოს დაბოლოებულად. გერმანია ავსტრიისთვის დამოუკიდებელი საქართველო აუცილებელია და მაშასადამე, თუ საქართველომ თავის დამოუკიდებლობა გამოაცხადა, ცენტრალური სახელმწიფოები სიამოვნებით გამართავენ ჩვენთან საზავო მოლაპარაკებას.

მაშ აი რა გზას უნდა დავადგეთ: საქართველოს ეროვნულმა საბჭომ დღესვე უნდა გამოაცხადოს საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ და გამართოს საზავო მოლაპარაკება გერმანია-ავსტრიასთან.

მობილიზაცია უნდა მოახდინოთ, დღესვე ეროვნულმა საბჭომ საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოაცხადოს და აფრინოს საზავო დელეგაცია (უპრავონოთ თუ არ წავიდა არავინ?) გერმანია-ავსტრიასთან! მორჩა და გათავდა. ოჩენ პროსტო, იასნო კაკ შეკოლადე, რუსული თქმულების არ იყოს.

კიდევ ერთი აშკარა ტყუილი.

(ხონში მოწვ[illegible] მიტინგის გამო).

კვირას, 11 მარტს ხონის მენშევიკთა ორგანიზაციამ მოიწვია მიტინგი. ეს, როგორც საერთოდ სჩვევიათ მენშევიკებს, ისე მალულათ მოაწყვეს, რომ, გარდა მათი ამ მიტინგის მოწყობის შესახებ, არც ერთ სხვა მომქმედ პარტიებმა არაფერი არ იცოდენ, მიუხედავათ იმისა, რომ გასარჩევი იყო ისეთი სერიოზული საკითხები, როგორიც არის თავდაცვა, მობილიზაცია და სხვა.

ასეთი მალულობა, რასაკვირველია, მათ გამოიჩინეს მხოლოდ სხვა პარტიების მიმართ, თორემ, სხვა მხრივ, თავისი ადგილობრივი ძალებზე მარტო დაყრდნობა ვერ გაბედეს და მოიწვიეს ქუთაისიდან „ლიდერები“, როგორიც არიან გ. ფალავა, ქ. ჭუმბურიძე, ბ. შარაშიძე (ალიონისტი) და თვით ბატ. კაჩუხოვი. როდესაც უკვე ხალხი შეიკრიბა და მიტინგის გახსნას ელოდა, აი, მხოლოდ, მაშინ დაგვიძახეს მენშევიკებმა და გაგვაცნეს, თუ რატომ მოიწვიეს მათ მიტინგი და აგრეთვე გვთხოვეს, გვეთქვათ ჩვენ მათთვის, თუ როგორი პოზიციაზე ვდგევართ ამ საკითხებში. ჩვენ, რასაკვირველია, ჩვენი პოზიცია მათ გავაცანით, მხოლოთ დაუსვით რამოდენიმე ფაქტიური ხასიათის კითხვები, რომლებზედაც მათ გადამჭრელი პასუხი არ მოგვცეს და განაცხადეს, რომ ეხლა ამის დრო არ არისო.

მიტინგი მართლაც, რომ საინტერესო გამოდგა, მენშევიკების მიერ მოწვეული, სხვა პარტიების დაუკითხავად, იგი, თუ კი მენშევიკებს რაიმე გავლენა კი აქვთ ხონში და მის რაიონში, მათი სასარგებლოთ უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ, რას ვხედავთ! ილაპარაკეს: ბ-ნმა კაჩუხოვმა, მერმეთ ეროვ საბჭოს სახელით ბ. შ. შარაშიძემ და კიდევ მთელმა რიგმა მათი ადგილობრივ და! ქუთაისელ „ლიდერებისამ“. ყველა ისინი შეხმატკბილებულათ აცნობდენ ხალხს, რომ „რუსეთის რევოლიუცია უკვე დაიღუპა და დაინგრა და ჩვენი ძოვალეობაა იგი გადავარჩინოთ ამიერ-კავკასიაშიო“. მიმართავდენ ასეთი მშვენიერ საბუთებს: „პეტროგრადი (მგონია მოსკოვიც) აიღეს გერმანელებმაო“. ერთმა მათმა ქუთაისელმა „ლიდერთაგანმა“, მისი გვარი მგონია ჭუმბურიძე უნდა იყოს, შემდეგი სთქვა: „ნოე ჟორდანია, რომელსაც ასე ეხერხება კალამი წერას თავი მიანება და საქმით ებრძვის მტერს, და ეს მან დაამტკიცა ბათუმში, აიღო რა იერიშით ჩვენი მტერი ფლოტი და დაატყვევა მატროსებიო“. ერთმა ადგილობრივ „ლიდერთაგანმა“ თავისი „რეჩის“ დროს მისტიციზმშიაც შეტოპა და ხალხს ნახევარი საათს' ელაპარაკა იმის შესახებ, თუ როგორ წავა იგი თავისი რაზმის წინ თათრების წინააღმდეგ, თუ როგორ მოკლავენ მას. „ურჯულო“ თათრები, და შემდგომ ამისა, თუ როგორ დაიწყებს მოგზაურობას მთელ ამიერ-კავკასიაში მისი ტანჯული სული და მოუხმობს მებრძოლთ მიბაძონ მის მაგალითს.

„ლიდერი“, უნდა ველოდეთ, ამ ორ დღეში თავისი რაზმით, ფარაჯაში და „ვალინკებში“ გამოწყობილი, გაემგზავრება მოწინავე პოზიციებისაკენ; ჩვენ ველით.

ბევრი კიდევ სხვა რამე ილაპარაკეს მათ. ილაპარაკეს, აგრეთვე ჩვენებმაც. ბოლოს უკანასკნელი სიტყვა აიღო ბ-ნმა გუბერნიის კომისარმა-კაჩუხოვმა. რადგან ეს უკანასკნელი სიტყვა იყო და ამის შემდეგ მიტინგიც დაიშლებოდა, ხალხმა შეაჩერა მოლაპარაკე და მოსთხოვა მას, ეცნო ხალხისათვის, თუ რატომ ჩასვა მან ციხეში ამხ. ბუდუ მდივანი. მაშინ კი დაიბნა ბ-ნი კომისარი და მოინდომა საკითხის გვერდით არება, მაგრამ აღელვებულმა ხალხმა ყვირილით შესძახა: გვიპასუხეთ, რატომ „დააკავეთ მდივანი, წინააღმდეგ შემთხვევაში არ ვალაპარაკებთო. რასაკვირველია ბატონმა კომისარმა ამაზედ ვერაფერი ვერ უპასუხა ხალხს, გარდა იმისა, რომ ბუდუ ჩემი დიდი და საყვარელი მეგობარია, ჩემთან გაზრდილი და, როდესაც მე მას ციხეში ვსვამდი, თითქმის ვსტიროდიო; მხოლოდ ეხლა ამაზედ ლაპარაკი სულ ზედმეტიაო.“ აღელვებული ხალხი ამ პასუხმა კიდევ უფრო ააღელვა და ბა-ნმა კაჩუხოვმა თავისი სიღყვას თავი დაანება და ყველასათვის მოულოდნელათ მიიმალა. როდესაც ჯერი რეზოლიუციაზე მიდგა, მენშევიკებმა თავისი რეზოლიუციის წამოყენებაც ვერ გაბედეს და ხალხმა ერთხმათ, ტაშის ცემით და ურას ძახილით, მიიღო ჩვენი რეზოლიუცია, რომელიც ამბობს, რომ ჩვენ ვიცავთ რა თავს ყოველგვარი კონტრ-რევოლიუციისაგან, საიდანაც არ უნდა მოდიოდეს იგი, ვადგენთ ცალკე სოციალისტური რაზმებს და რუსეთთან შეთანხმებით, ვიბრძოლებთ ოსმალეთის მთავრობის იმპერიალისტური ლტოლვილების წინააღმდეგ. აგრეთვე ერთხმათ მოითხოვეს ამხანაგი ბუდუს განთავისუფლება. ასე დამთავრდა ეს, ამიერიდან ბ-ნმა მენშევიკებისათვის მწარედ მოსაგონარი, მათ მიერ მოწვეული 11 მარტის მიტინგი და აი ამ მიტინგის შესახებ „სოც-დემ.“ სწერს: „საერთოდ ჩვენებს დიდი ალტაცებით უსმენდენ, ბოლშევიკებს კი ხშირათ აწყვეტინებდენ სიტყვას. ბოლოს მიტინგმა გამოთქვა აზრი დაიცვან სამშობლო და რევოლიუცია“ („ს.-დ.“ №277). მოდი და ნუ გაგეცინება. სამშობლოს და რევოლიუციას ხალხის გარდა ვინ დაიცავს, მაგრამ ალტაცებული და ექსორია ქმნილი ვინ გამოდგა იმ მიტინგზე

ბ. ნ.

ბათუმის ამბები.

ბათუმში ამ ორი კვირის წინ დაიწყო მუშათა, ჯარისკაცთა და მატროსების საბჭოს ხელახალი არჩევნები. საბჭოში აქამდის ჩვენი პარტიის მხოლოდ თორმეტამდის წევრი იყო. ახალი არჩევნების შედეგი ჩვენი ფრაქციის საგრძნობელი ზრდა იქნებოდა. არჩევნები სწარმოებდა. მაგრამ მალა ჭამაში მოდის. ბათუმის ციხის უფროსს გენ. მდივანს აუკრძალავს მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს არჩევნები. უნდა ველოდეთ, რომ მალე სულ დაითხოვენ საბჭოს — გენ. ლიახოვს, გაბაშვილს და ლებედინსკის თუ გადაეცა მთელი ძალა-უფლება, ბატ. მენშევიკებო, რის მაქნისი იქნება თქვენი საბჭოები?

სამხედრო მთავრობის განკარგულებით დაუხურავთ ბათუმში ბოლშევიკური ყოველდღიური გაზეთები „ბურევესტნიკი“ და „მუშის სიმართლე“. სტამბები დაულუქავთ. გენერლების ეს განკარგულება სრულიად გასაკვირი არაა; მეტესკი გენერლებმა კაი ხანია მაგალითი უჩვენეს თბილისში ჩვენი ყველა ორგანოების დახურვით, მაგრამ სწორი ის იქნება, მენშევიკების ორგანოებსაც ის ბედი ეწიოს ახლო მომავალში, თუ ვინიცობა ერთი რევოლიუციონური სიტყვაც რო წამოცდეს.

— 11 მარტს საღამოთი ბოროტმოქმედ ზრახველებს მოუკლავთ ბათუმის ოლქის კომისარი ევგ. გრინიცკი. მკვლელები მიუმჩნიათ.

# რევოლიუციონური რუსეთი

გუშინ ჩამოვიდა ერთი ჩვენი ამხანაგი ქ. მოსკოვიდან და მოკლე მოხსენება გააკეთა ამხანაგთა ვიწრო წრეში. აი მისი ცნობები. ქ. ოდესა და კიევი დაკავებული აქვთ უკრაინელებს და გრმანელ თეთრ-გვარდიელებს. ავსტრიას იმ თავითვე გადაჭრილი უარი განუცხადებია რუსეთზე თავდასხმისთვის ერთი ჯარის კაცის მიცემაც კი. რუმინია შეთანხმებია სახალხო კომისართა საბჭოს და თავისი ჯარები გაუყვანია და გაჰყავს ბესარაბიიდან. კიევში გერმანელების დახმარებით ძველ, მდიდართა რადას ჩაუგდია ხელში ძალა-უფლება, ყველა ყოფილი მინისტრები ისევ დაუყენებიათ პოსტზე, რომლიდანაც უკრაინის საბჭოების მთავრობამ ისინი ჩამოაგდო. მინსკის გუბერნიაში ისევ აღდგენილა საბჭოთა ორგანიზაციება და შესდგომიან შეიარაღებული აჯანყების სამზადისს გერმანელების ზურგს უკან. ქ. პსკოვი 6 მარტს, დაუკავებია გერმანელ თეთრ გვარდიელებს, მარა მეორე დღეს საბჭოთა ჯარს ისინი გამოურეკიათ და მას მერე პსკოვი საბჭოთა მთავრობის ხელშია. პეტროგრადში გერმანელებს ფეხიც არ შემოუდგამთ. იქ მთელი მუშათა კლასი და გარნიზონი მყის დაირაზმა და გადასწყვიტა რევოლიუციის სატახტო ქალაქის დაცვა აუცილებლად. სახალხო კომისართა საბჭო მუშების დადგენილებით მოსკოვში გადავიდაიმ იტომ, რომ გერმანელებს გადაწყვეტილი ქონდათ სოც. რევოლიუციის მოღვაწეების ხელში მოგდება და მათი ამოწყვეტით რევოლიუციისათვის თავის მოჭრა; და რა კი საბჭოთა მთავრობა პეტროგრადში აღარ იქნებოდა, გერმანელებს ნაკლები საბაბი ექნებოდათ პეტროგრადზე მიწოლა. პეტროგრადში მთავრობის მაგიერობას წევს კომუნა. მას გამოყოფილი ჰყავს რევოლიუციონური თავდაცვის კომიტეტი, სათავეში სდგას ტროცკი და ბონჩ-ბრუევი. წესიერება საუცხოოა. ქალაქის ირგვლივ ოკოპებს და სხვა სიმაგრეებს აკეთებენ. სამუშაოთ გამოწვეულია ბურჟუაზია და საბოტაჟნიკები. შემოღებულია საზოგადოთ საყოველთაო შრომის ბეგარა. პურის ულუფა წინეთ ერთ მერვედ გირვანქა, ბოლო ხანებში გადიდებულ იქნა — კაი ხანია სამ მერვედ გირვანქას იძლევიან. ფინლიანდიაში სოციალისტურ რესპუბლიკას ებრძვის ბურჟუაზიის თეთრი გვარდია რომელიც ფეხმოკიდებულია მხოლოდ ჩრდილოეთ გუბერნიებში, სადაც მათ შვედელების თეთრ-გვარდიელები უწევენ დახმარებას. ფინლიანდიის წითელ-გვარდიელებთან ერთად მოქმედებენ რუსეთის სოციალისტური არმიის რაზმები და სვეაბორგის ფლოტი. მოსკოვს არც ერთხელ არ განუცდია შიში, გერმანელებს იქ არ მოელოდენ. იქაც საუცხოო წესიერებაა, მუშები ერთიავად შეიარაღებულნი არიან, სოციალისტურ არმიაში ირიცხებიან, ვარჯიშობენ. ვერ გააგონებ მუშას, რომ გერმანელები ხელში ჩაიგდებენ პეტროგრადს ან მოსკოვს. პურს იქაც სამ მერვედ გირვ იძლევიან, მხოლოდ მეშჩანობა ბუტბუტობს, მუშა ხალხი კი შეგნებულათ ითმენს ასეთ მდგომარეობას და მათგან საყვედურს ვერ გაიგონებ. გერმანელები პირველათ ცერემონიალი მარშით მოდიოდენ და ადვილათ იღებდენ ქალაქებს. მერე კი, როცა გადაეღობა საბჭოთა ჯარი, შეტევა შეაჩერეს. საქმე იმაშია, რომ ჯარის 70 პროც. უარზეა რუსეთის თავდასხმაზე, აგრეთვე გერმანელების ფლოტი არ ერევა ამ ბინძურ საქმეში. იაპონიას მოუნდომებია ციმბირის დაკავება — რევოლიუციასაც ჩავაქრობ და გერმანელებსაც შევებრძოლები „მოკავშირეთა“ საერთო საქმისათვისო. ინგლისი და საფრანგეთი რაღა თქმა უნდა სიამოვნებით დასთანხმებულან. სამაგიეროთ ამერიკა ყალყზე შემდგარა, ის ხომ ბუნებრივი მეტოქეა იაპონიის და მის პოლიტიკური, ეკონომიურ და ტერიტორიალურ ასე გაზრდას ის ვერასოდეს ვერ შეურიგდება, რაც მუდამ სახეში ქონდათ სახალხო კომისართა საბჭოს საგარეო პოლიტიკის საკითხების გადაწყვეტის დროს. ახლა ვაჭრობაა გამართული, დალალათ ინგლისია.

ამხანაგს რკინის გზით უვლია სად. არმავირამდე. ყველგან საბჭოთა მთავრობა, სამოქალაქო ომი დათავებულია, შინაგანი კონტრ-რევოლიუცია დამარცხებულია. კორნილოვი ერთი მუჭა თანამებრძოლებით არმავირ-თუაფსეს რკინის გზის ერთ სადგურზე ყოფილა დაბუდებული. ამხანაგის ცნობით ის გარშემორტყმულია საბჭოთა ჯარებით და ეგებ გაქცევა მოახერხოს, თორემ ახალ მოქმედების დაწყება აღარ შეუძლია.

რედაქცია — სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი — ღასავლეთ ამიერ-კავკ. ორგანიზაციების კომიტეტი.